დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი---პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია; Ship Deck Operation)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირმა ქორთუა

წევრები:

ავთანდილ გეგენავა

Irma Kortua 19001010979

Digitally signed by Irma Kortua
Date: 2025.11.11 22:26:14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი----------

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ----------შპს----------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------245433623 ----------

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 01/10/2025 გამოცემული MES 9 25 0001267227 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, თამარ მეფის გამზირი N 38, ქ. ბათუმი, მახინჯაური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია; Ship Deck Operation“ დამატებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შესამოწმებლად.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდა ვიზიტი 16 ოქტომბერს წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს თავმჯდომარეს, პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტს პროფესიული განათლების მიმართულებით, ბიბლიოთეკარს, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების პედაგოგებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსები.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია; Ship Deck Operation
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში; Secondary Vocational Qualification in Ship Deck Operation
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი N6, 02.09.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თამარ მეფის გამზირი N 38, ქ. ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	130 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, განხორციელების მიზანშეწონილობა ეყრდნობა ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: რესურსული, ეკონომიკური, ოპერაციული, კონცეპტუალური მიზანშეწონილობები. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევების ანგარიშები, ვაკანსიების ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები.

პროგრამა სრულად შეესაბამება და პასუხობს დაწესებულების პროფილს და მისიას - უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში წარმატებული კარიერის მისაღწევად.

2024 წლის 01 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „მეზღვაურთა შრომის შესახებ“, რომელიც ქმნის საზღვაო სფეროში დასაქმების მყარ საფუძვლებს და ადგენს შრომის პირობების გარანტიებს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის დამსაქმების მსურველთათვის. პროგრამის კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია, ხოლო დასაქმებულთა შორის პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 80%-ია. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონაცემებით, დასაქმების მზარდი ტენდენცია ადასტურებს მაღალ მოთხოვნას რიგითებზე, განსაკუთრებით გემბანის და სამანქანე განყოფილების მიმართულებებში. დასაქმებაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები ექვსამდე სხვადასხვა კვლევის შედეგების, მათ შორის საქართველოში მოქმედი საკრუინგო კომპანიების გამოკითხვები შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ანგარიშების მიხედვით ბაზრის მოთხოვნა გემბანის რიგითებზე გაზრდილია ხანგრძლივი ნაოსნობის, რთული ოპერაციების და უსაფრთხოების მაღალი მოთხოვნების პირობებში, ტექნოლოგიურად რთულ ამძრავ მექანიზმებთან და გამონაბოლქვის შემცირების სისტემებთან სამუშაოდ. დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, ჰყავს პარტნიორები პროგრამის განსახორციელებლად.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086 ან №100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“, ნდ №2-030101-12, რომლითაც განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ, სათანადო დასაბუთებით, დასაშვებია საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შეცვლა კანონმდებლობით დადგენილი წესით იმგვარად, რომ პროგრამის წინაპირობა თავის თავში მოიცავდეს სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობის დაცვას, არ უნდა იყოს იმაზე დაბალი, ვიდრე ეს იყო განსაზღვრული საგანმანათლებლო სტანდარტით; დებულება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.1.1.3.**პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**
დაწესებულებამ წარმოადგინა ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“ . დებულების მე-9 თავით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: ა) A, B C სასწავლო გარემოში და პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; 2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამინური რესურსის რაოდენობა; 3 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.
პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ 3 კომპანიასთან და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები.
დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დანართი #17 -ით განსაზღვრულია თითოეული მოდულის ფარგლებში საჭირო სასწავლო ინვენტარი, აღჭურვილობა, ნედლეული, მასალა, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი რესურსები სრულად შეესაბამება ახალი სტანდარტით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და მოდულების შინაარსს და ხელს უწყობს პროგრამით გათვალიწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

2.1.1.6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია დამტკიცებულია ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის N6 საოქმო გადაწყვეტილებით, 02/09/2025 წ. ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის №01-43 ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულების” მე-5 მუხლით.
დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება -საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია თანხვედრაშია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია; Ship Deck Operation პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი. და ქმნის სწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, (სულ 14 მოდული) სასწავლო გეგმა როგორც ქართულენოვანი ასევე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ;

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია გლობალური მოთხოვნის ანალიზი: 2025 წლის შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები;
2. მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2030 წლები; 3 წლიანი სამოქმედო გეგმა; პროფესიული განათლების დეპარტამენტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა
3. პროგრამის დამტკიცება - პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის ოქმი N6 საოქმო; 02/09/2025 წ.
4. პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობის დოკუმენტები
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია თავისი დანართებით
6. დანართი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
7. გასაუბრებები

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები: 1. დანართი 2. - ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, 2. „ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის და 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. დოკუმენტებით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. პროგრამისთვის განსაზღვრულია A, B, და C გარემოები, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

1. **A სასწავლო გარემო** - კორპუსი A; მეორე სართული, სამი აუდიტორია -215;216;217. აუდიტორია 215 - 28 პროფესიულ სტუდენტზე; 2აუდიტორია 16 -30 პროფესიულ სტუდენტზე; აუდიტორია 217 -30 პროფესიულ სტუდენტზე; სულ 88 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში; ხვა პროგრამების ფარგლებში აუდიტორია დატვირთული არ არის და გამტარუნარიანობა შეადგენს ორ ცვლაში 176 პროფესიული სტუდენტს. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; სტუდენტის რაოდენობის შესაბამისი მაგიდა და სკამით; პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები.

2. **B სასწავლო გარემო** - კორპუსი. A, III სართული, აუდ. N328, N330, N335; თითოეულ აუდიტორიაში 21 პროფესიული სტუდენტი, სულ 63 პროფესიული სტუდენტი. სამივე აუდიტორია გამოიყენება სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, სამამქანე განყოფილების ექსპლუატაცია, ელექტრობა) ინფორმაციული წიგნიერების ზოგადი მოდულის განხორციელებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვის სქემა. რადგან სამივე პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ინფორმაციული წიგნიერების მოდულების პარალელურად სწავლება არ მიმდინარეობს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ფარგლებში აუდიტორიის დატვირთვა ერთ ცვლაში საშუალოდ 20% -ს წარმოადგენს.
   აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).
3. C სასწავლო გარემო:
   1. **სასწავლო საწვრთნელი აუზი ზღვაში გადარჩენის სიმულაციისთვის** - დარგობრივი კაბინეტი 15 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B I სართული. ინვენტარი და მასალები: პროექტორი, პროექტორის ეკრანი; ლეპტოპი, სამაშველო ტივები (4,8 და 15 კაციანი), თერმოკომბინოზონები, თვალსაჩინოებები, კარადა, დაფა, სკამები სტუდენტებისთვის და პედაგოგისთვის, ცალკე ოთახი სწავლებისთვის.
   2. **ხანძრის თავიდან აცილება-ხანძართან ბრძოლა** (პრაქტიკული) 15 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B I სართული, აუდ. N101 - სხვადასხვა დანიშნულების ცეცხლმაქრები, ქაფის ცეცხლმაქრი, სპეც ტანსაცმელი, მეხანძრის რკინის ნაჯახი; თვალსაჩინოებები, არაფეთქებადი ფარანი; სასიგნალო ტროსი, ავტონომიური სასუნთქი აპარატი.
   3. **ხანძრის თავიდან აცილება-ხანძართან ბრძოლა (ინსტრუქტაჟი),** 16 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. კორპ. B I სართული, აუდ. N102 ; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა.
   4. **ნავთობმზიდის სიმულაციური გარემო - საბაზისო კურსი,** 12 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B II სართული, აუდ. N205; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა. თვალსაჩინოებები.
   5. **პირადი უსაფრთხოება სოციალური პასუხიმგებლობა** (ინსტრუქტაჟი), 12 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B II სართული, აუდ. N210; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა. თვალსაჩინოებები.
   6. **პირადი გადარჩენის ტექნიკის სივრცე,** 12 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B, II სართული, აუდ. N211; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა. თვალსაჩინოებები.
   7. **უშიშროებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ვალდებულებების ინსტრუქტაჟი -** 19 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B II სართული, აუდ. N212; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა. თვალსაჩინოებები.
   8. **ელემენტარული სამედიცინო დახმარება** - 12 პროფესიულ სტუდენტზე; კორპ. B, III სართული, აუდ. N 313 ; მაგიდა და სკამები პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის; პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, კარადა. აფთიაქი; პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარი; თვალსაჩინოებები.
   9. **სანავიგაციო ხიდურის სიმულატორის კაბინეტი;** 6 პროფესიულ სტუდენტზე; კორპუსი B, IV სართული, აუდ. N 423; სანავიგაციო ხიდურის სრული კომპლექტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. **გემსაბმელი ოპერაციების სასწავლო-საწვრთნელი სივრცე** - საგემბანე განყოფილების სიმულაციური გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე; ეზოს ტერიტორიაზე, შემოღობილ სივრცეში გემის სამისაბმელო სრული აღჭურვილობა.

პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიები დაიტვირთება ორ ცვლაში. მოცემული ლაბორატორიების ნაწილი (გარდა სანავიგაციო ხიდურის სიმულატორის კაბინეტი და გემსაბმელი ოპერაციების სასწავლო-საწვრთნელი სივრცე) გამოიყენება პროგრამის „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ფარგლებში. ორივე პროგრამის კალენდარული გეგმის მიხედვით პროგრამით გათვალიწინებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი C გარემოს გამტარიანობა უზრუნველყოფს ორივე პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელებისათვის ბნუ-ს კოოპერაციული ხელშეკრულება 10 წლის ვადით გაფორმებული აქვს 3 გემთან, მათ შორის:

1. გემი ,,AKHTIARI” - ორ ცვლაში - 60 პროფესიული სტუდენტი;
2. გემი ,,CADET” - ორ ცვლაში - 40 პროფესიული სტუდენტი;
3. გემი ELITA - ორ ცვლაში - 30 პროფესიული სტუდენტი;

კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებებით განსაზღვრულია კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულების საგანი, განხორციელების ადგილი და პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულება სრულად შეესაბამება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნებს.

დაწესებულებამ ხელშეკრულებების გაფორმებამდე შეისწავლა პრაქტიკის ობიექტების მზაობის შეფასება სასწავლო პროცესში ჩართვის და თანამშრომლობის შედეგების მიღწევის მიმართულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება“ თითოეულ პრაქტიკის ობიექტთან მიმართებაში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 8 ზოგადი მოდულების და 11 პროფესიული მოდულების. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი.

სასწავლო გეგმის და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის № 01-43 ბრძანებით დამტკიცებულია რაოდენობის დაგეგმვის, „პერსონალის დატვირთვის და მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაში ჩართული პედაგოგების დატვირთვის სქემა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა მაქსიმუმ 35 საათია კვირაში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან პერსონალის მართვის პოლიტიკის მიერ დადგენილი წესით და დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესი“ (ნდ №2-020101-45) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული განათლების პედაგოგებთან 2024 -2025 წლებში განხორციელებული სწავლებების დოკუმენტი, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების პედაგოგებს (როგორც ზოგადი ასევე პროფსიულის) გავლილი აქვთ შემდეგი ტრენინგები:

1. სწავლა-სწავლების თანამდეროვე მეთოდები
2. კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში
4. კალენდარული გეგმის შემუშავება
5. სწავლა სწავლების მეთოდოლოგია და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში
6. ინტერპერსონალური უნარების განვითრება
7. დიფერენცირებული მიდგომის ინსტრუმენტების შემუშავება და გამოყენება სასწავლო პროცესში
8. როგორ მოვამზადოთ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
9. როგორ გავხადოთ ლექცია/სემინარი ინტერაქტიული (სწავლების აქტიური მეთოდები)“
10. როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებში კომპონენტებში სწავლის შედეგები ვალიდურად/ როგორ იყოს სწავლის შედეგები გაზომვადი

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეების გადამოწმებით, ჩატარებული სწავლებებით, სერთიფიკატებით, დიპლომებით და გასაუბრებებით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია ჰყავს დაწესებულების მიერ შრომითი ხელშეკრულებით

განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება (დარგში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია მათი ფუნქცია მოვალეობები.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია სათანადო დონეზე უხელმძღვანელონ პროფესიული პროგრამის განხორციელებას და სრულად აქვთ გათავისებული თავიანთ ფუნქცია-მოვალეობები.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტებმა გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამოდენიმე სახელმძღვანელო, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახით.

ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის N01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო მასალის (რიდერების)მომზადებისა და დამტკიცების ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს სასწავლო სახელმძღვანელოს/მასალათა კრებულის შემუშავების მეთოდოლოგიას იმ პროფესიული საგანმანათლებლო სადაც

სახელმძღვანელოები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ან საჭიროებს ადაპტირებას მოდულის სწავლის.

პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო მასალა ასევე მიეწოდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ სასწავლო მასალების ატვირთვის გზით.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ატვირთულია პორტალზე ***www.bntu1ini.ge*** და ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ამავე პორტალზე ატვირთულია უნივერსიტეტის ციფრული კოლექციები რომელზეც წვდომა აქვს სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა ***Witherby's Seamanship Library,*** რომელიც წარმოადგენს საზღვაო გამოცემების ელექტრონულ ბიბლიოთეკას და მოიცავს ნორმატიული დოკუმენტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების ბოლო ვერსიებს. ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან წვდომა ხორციელდება ბნსუ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სპეციალურად გამოყოფილი კომპიუტერების საშუალებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა, რის მიხედვითაც გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის 96% დადებითად აფასებს სასწავლო რესურსების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.6. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებას რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 37-ე მუხლი განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესში სსსმ პირების სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები,როგორიცაა: სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის მოწვევა; საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული მხარდაჭერა; საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის მომზადება, საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვა საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით, საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას მაგ ტექსტების ან ვიზუალური აღქმის გამარტივებას. რეგულაციით განსაზღვრულია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.7. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებას რექტორის 2025 წლის 24 ივლისის №01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები“განსაზღვრული აქვს ბიუჯეტის შედგენის წესები და პასუხისმგებელი პირები, თითოეული პროგრამისთვის დამოუკიდებლად, საპროგნოზო შემოსავლების და ხარჯების და რეალური კალკულაციის დასათვლელად.

შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, მოდულების განფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულებამ წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია განხორციელებისათვის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტი ათვლილია პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

შემოსავლები მოიცავს მხოლოდ ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო პირდაპირი და ზედნადები ხარჯები, მათ შორის: პერსონალის შრომის ანაზღაურება; მასალა-ნედლეულის ხარჯი, პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგების განხორციელების ხარჯი; ლაბორატორიების/დარგობრივი აუდიტორიების აღჭურვილობის განახლების ხარჯი; პროგრამის სასწავლო რესურსის განვითარების ხარჯი (ბიბლიოთეკა); პროფესიული განათლების მასწავლებელის განვითარების ხარჯი; კომუნალური და სამეურნეო ხარჯები, საკანცელარიო და კომუნიკაციიის ხარჯები.

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული განათლების პედაგოგების პირადი საქმეები;
2. დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ
3. „ინფორმაცია ბნუ-ს მატერიალური რესურსის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.
5. კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის - ხელშეკრულება N55/25; 29 აგვისტო, 2025 წელი; შპს „ლმნტ“ AKHTIAR; ხელშეკრულება N54/25; 29 აგვისტო, 2025 წელი; გემი CADET; ხელშეკრულება N52/25 29 აგვისტო, 2025 წელი გემი “ELITA”
6. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების გეგმა 2024 - 2025 სასწავლო წელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების გეგმის ანგარიში 2024 - 2025 სასწავლო წელი
8. რექტორის 2025 წლის 24 ივლისის №01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები
9. რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება
10. რექტორის 2025 წლის 24 ივლისის N01-52 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო მასალის (რიდერების)მომზადებისა და დამტკიცების ინსტრუქცია“
11. პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
12. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
13. წიგნების ელექტრონული კატალოგი
14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა - გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია ინფორმაცია მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ
15. სასწავლო გეგმები და კალენდარი
16. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
17. გასაუბრებები
18. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება (მე-6 და მე-9 მუხლი), რომლითაც განსაზღვრულია პროგრამების განვითარების, ცვლილებების განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომები.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით.

რექტორის 2025 წლის 24 ივლისის №01-52 ბრძანებით დამტკიცებულია “პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია”; მეთოდოლოგიით გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. მეთოდოლგიის მიხედვით დაწესებულება წელიწადში ორჯერ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული გნათლების პედაგოგებთან კმაყოფილების კვლევებს წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით. წელიწადში ერთხელ გამოკითხვებს დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 წლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშები, როგორიცაა: პროფესიული განათლებლის მასწავლებლების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები; პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები;

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებას დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“, დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით განსაზღვრული აქვს პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების ინიცირების, გაუქმების პროცედურები, ინფორმაციის გავრცელების წესები და პასუხისმგებელი პირები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დებულების მუხლი 6, 6.2 -ის მიხედვით, დაწესებულებას ცვლილებები შექაქვს თუ ცვლილების საჭიროება ეყრდნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და სხვა გარემოებებს.

დაწესებულება რეგულარულად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ ატარებს პროგრამების შეფასებას. შეფასებისას განიხილება: სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევა და გამოწვევები; სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა; ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები; ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება; პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ განვითარებასთან.

პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. რექტორის 2025 წლის 24 ივლისის №01-52 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია";
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება", დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022);
4. 2025 წელს ჩატარებული კვლევების ანგარიში - სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კვლევის ანგარიში, სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზის ანგარიში
5. რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება
6. პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულება ნდ №2-010301-11; რექტორის ბრძანება 01-43 10.07.2025
7. გასაუბრებები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი ასევე არაქართულენოვანი პროგრამისთვის დანართი #15. სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მოდულებისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო განრიგს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. (კვირაში საშუალოდ 36-39 სთ) პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვაში გათვალიწინებულია საათები დამოუკიდებელი, საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. სასწავლო გეგმაში გათვალიწინებულია განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებებისთვის განსაზღვრული პერიოდები, რაც არსებითად არ ზრდის სასწავლო პროცესის ხანგრძლივობას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.1.2 **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“, დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით, 35-ე მუხლი ჩანაწერში იკითხება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ისე რომ, მოქნილობა არ ახანგრძლივებდეს სწავლების პერიოდს და არ იწვევდეს გაუთვალიწინებელ ხარჯებს სტუდენტის მხრიდან; დაწესებულება იზიარებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ასაკობრივი

ჯგუფის, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების არსებობის შესაძლებლობას და მოქმედებს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით; პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და განსახილველი საკითხის შინაარსის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურის პერსონალის ჩართულობას. მსგავსი შეხვედრები ტარდება თუკი არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე; ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც ადასტურებს რომ დაწესებულება აქტიურად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების პედაგოგების უმეტესობა დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის შესაბამის უახლეს ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ორივე დარგის სპეციალისტია. დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, დაწესებულებიის სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით.

დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება ტრენინგები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიებზე პედაგოგები იყენებენ სწავლების თანამედროვე ინტერაქციულ ტექნიკებს რაც დასტურდება მათთან გასაუბრებებით.

დაწესებულეება აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო ტრანსპორტის საგენტოსთან საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის დაწესებულებაში დასანერგად. დაწესებულება პერიოდულად იწვევს მოქმედ საზღვაო ტრანსპორტის წარომადგენლებს მოწვეულ ლექტორებად, საზღვაო სფეროში არსებულ სიახლეებზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. დაწესებულეებაში დასაქმებული არიან მოქმედი დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო ადგილობრივიდა საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირებას სასწავლო მოდულებში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები შესრულებულია

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და

განხორციელების დებულების“ 36-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებისა და კონსულტაციების მიღების პროცედურები. დებულების მიხედვით პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით. ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტთა ჯგუფთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული განრიგით. ინდივიდუალური მეცადინეობის აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, რისთვისაც ავსებს ბნუ-ს მიერ დადგენილ ფორმას. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა შევსებული ინდივიდუალური მეცადინეობების ფორმები.

ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე იმ შემთხვევაში თუ: პროფესიულ სტუდენტმა გააცდინა მეცადინეობები, პროფესიულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური საჭიროება, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცადინეობას, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმეორებით განმსაზღვრელი/შუალედური/საკვალიფიკაციო შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცადინეობას,პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; სსსმ და შშმ პირთა სასწავლებისას. სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით, დაწესებულება იწვევს შესაბამის სპეციალისტს. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ან პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად, ამასთან არ გამოიწვევს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის შეუსაბამობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან;

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.1.5 **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია ითვალისწინებს მოდულს - საზღვაო პრაქტიკა - გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება კოოპერაციული ხელშეკრულების საფუძველზე, შემდეგ პრაქტიკის ობიექტებზე: საწვრთნელი გემი ,,ELITA", გემი ,,AKHTIARI", გემი ,,CADET". ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეები, კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულების საგანი, კოოპერაციული სწავლების ხელშეკ რულების განხორციელების ადგილი და პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანგარიშ სწორება და კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულების შეწყვეტა, ფორსმაჟორული გარემოებები, სხვა დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული „კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის" სრულად შეესაბამება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პრო ფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორ ციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნებს.

ბნუ-ში დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების" მექანიზმები, რომელიც შემუშვებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრა მის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"

დაწესებულება განახორციელა პრაქტიკის ობიექტის შესაბამისობის შეფასებას კანონმდებლობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან და წარმოდგენია შეფასების დოკუმენტაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის სამსახურის მიერ მფ-2-N7l - 05..28.09.2023 და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მფ-2-№71-05-22.06.2025.

„შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესით" - განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმები, კრიტერიუმის მონიტორინგი და გაფორმებული ხელშეკრულების აუცილებელი რეკვიზიტები. აღნიშნული წესები დაცულია პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისას, რომელთა შესრულება პარტნიორ ორგანიზაციაში ხდება, უზრუნველყოფილია ხელშეკრულებით, რომლითაც პარტნიორი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნობრივი შედეგების მიღწევისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა „პრაქტიკის ობიექტზე /C გარემოში უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალი პროფესიული სტუდენტებისათვის მფ-2-№59-11-23.06.2025 ; დანართი 1.2. დოკუმენტის მიხედვით C გარემოში მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებამდე პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია ჩაატაროს შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი, რასაც პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით დაადასტურებენ, რაც დასტურდება პროფესიული მოდულის განმახორციელებელ პედაგოგებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი „შრომის და სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების და ასევე სტუდენტების ვალდებულებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, უსაფრტხოებაზე პასუხისმგებელი პირები, პირველადი სამედიცინო დახმარების საჭიროების, საგანგებო სიტუაციების, ევაკუაციის და მომეტებული საფრთხის შექმნის შემთხვევებში დაწესებულების ვალდებულებები.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას ყველგან C გარემოში უსაფრთხოების ნიშნები გაკრულია სტუდენტისთვის თვალსაჩინო ადგილას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი ასევე არაქართულენოვანი პროგრამისთვის დანართი #15.
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“, დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის სამსახურის მიერ მფ-2-N7l -05..28.09.2023
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მფ-2-№71-05-22.06.2025
5. „პრაქტიკის ობიექტზე /C გარემოში უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალი პროფესიული სტუდენტებისათვის მფ-2-№59-11-23.06.2025 ; დანართი 1.2
6. „შრომის და სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“,
7. „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესით“
8. შევსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
9. გასაუბრებები
10. ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით; მუხლი 2 „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა“ განმარტებულია, რომ შეფასების სიტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების სახეები, განმსაზღვრელი, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებისა და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულება მუდმივად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 წლებში განხორციელებული ინფორმაციულ წიგნიერებასა და გაცნობითი პრაქტიკის მოდულების შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის დასკვნები.

ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები აღრიცხულია და დაცულია უცხო პირთა წვდომისგან, რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა. რექტორის 2025 წლის 24 ივლისის № 01-52 ბრძანებით დამტკიცებულია

„პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელითაც დადგენილია მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა, შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები, შეფასების ინსტრუმენტების და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ვერიფიკაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაში მონაწილეობს ვერიფიკატორი განათლების და ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით. განსახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ვერიფიკატორთა რაოდენობას. განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ან სპეციალისტი; ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და იმ დარგის სპეციალისტი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 წლებში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ანგარიშები. აღნიშნული ანგარშებით დაწესებულებამ 2024 წელს განახორციელა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია 9 მოდულის ვერიფიკაცია, ხოლო 2025 წელს პროგრამის 100%-იანი ვერიფიკაცია.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულებას რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრულია მოთხოვნები შეფასების მტკიცებულებიების მიმართ. შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს; წესის მიხედვით, თუკი შეფასების პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულების შენახვა შეუძლებელია მისი სპეციფიკის, მოცულობის ან ზომის გამო, ხდება მისი ფოტოგრაფირება. მტკიცებულების აღწერის დოკუმენტი ფოტომასალასთან ერთად ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან და წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები აღრიცხულია და დაცულია უცხო პირთა წვდომისგან, რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. შესაძლებელია ყველა მტკიცებულების ავტორ(ებ)ის/შემქმნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია, შესრულების დრო.
შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღრიცხულია მტკიცებულებების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.4 . პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში მოქმედებს „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ რომლის მიხედვითაც დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად განიხილება და კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტს შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე განიხილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლის დასრულებისას ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი, რა დროსაც ფასდება პირველ მცდელობაზე დადასტურებული სწავლის შედეგები, განმეორებითი შეფასების რაოდენობა, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და სხვა;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი წარედგინება პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და განიხილება პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს სხდომაზე; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების პროცესს აკვირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი) შესაძლოა გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით;
2. ინფორმაციულ წიგნიერებასა და გაცნობითი პრაქტიკის მოდულების შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის დასკვნები
3. რექტორის 2025 წლის 24 ივლისის № 01-52 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“
4. 2024-2025 წლებში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ანგარიშები.
5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის გეგმა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია -გემბანის რიგითი მეზღვაური 2024-2025 სასწავლო წელი
6. ვიზუალური დათვალიერება
7. გასაუბრებები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

11.11.2025

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: